სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2024 წლის 15 მაისი

ქ. სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის და „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე,

ადგინს:

მუხლი 1

დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის განრიგი დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ჯანიკაშვილი**

დანართი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები

№1. ქ.წნორი, სოფელი საქობო, სოფელი მაშნაარი, სოფელი ვაქირი, სოფელი ანაგა, ქ. სიღნაღი;
№2. ქ. სიღნაღი, სოფელი ანაგა, სოფელი ვაქირი, სოფელი მაშნაარი, სოფელი საქობო, ქ. წნორი;

№3. ქ. სიღნაღი, სოფელი ნუკრიანი(კალოების უბნის გავლით), სოფელი ილიაწმინდა, სოფელი ქვემო მაღარო, სოფელი ქვემო ბოდბე, სოფელი ბოდბე, სოფელი ზემო მაღარო, სოფელი ნუკრიანი, ქ. სიღნაღი;

№4. ქ. სიღნაღი, სოფელი ნუკრიანი, სოფელი ზემო მაღარო, სოფელი ბოდბე, სოფელი ქვემო ბოდბე, სოფელი ქვემო მაღარო, სოფელი ილიაწმინდა, სოფელი ნუკრიანი(კალოების უბანზე გავლით), ქ. სიღნაღი;

№ 5. ქ. წნორი, სოფელი ბოდბისხევი, სოფელი ჯუგაანი, სოფელი ტიბაანი, სოფელი ძველი ანაგა;

№6. სოფელი ძველი ანაგა, სოფელი ტიბაანი, სოფელი ჯუგაანი, სოფელი ბოდბისხევი, ქ. წნორი;

№7. ქ. წნორი, სოფელი ბოდბისხევი, სოფელი ქვემო მაჩხაანი (ფანიანის უბანზე გავლით);

№8. სოფელი ქვემო მაჩხაანი (ფანიანის უბანზე გავლით), სოფელი ბოდბისხევი, ქ. წნორი.